



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ოაზურგეთის „არწივები“ - თბ „არმია“		
გუნდი	ოაზურგეთის „არწივები“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	11/12/2021	მატჩის ადგილი	ფოთი, პარკი არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მწვრთნელი	დაზადების თარიღი	
სახელი, გვარი	კახაბერ მაჩიტაძე		
მომჩივანი	მატჩის მსაჯი სულხან ჩიხლაძე	საჩივარი	<input checked="" type="checkbox"/> მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	<p>სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია</p> <p>5.12 არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან საფესტივალო ასაკის სადისციპლინო კომისიის და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;</p> <p>5.19 სრკ და მის იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა სრკ-ს წევრი სუბიექტები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მოთამაშეების და მათი წევრი ყველა პირის დისციპლინირებულ ქცევაზე და ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათ მიერ სადისციპლინო რეგულაციების დაცვა.</p>	<input checked="" type="checkbox"/> <p>წითელი ბარათი საითინგი სხვა</p> <p>თუ „სხვა“ აღწერეთ :</p>	



განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	15/12/2021	განხილვის ადგილი	დისტანციური
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე.		
დამრღვევის დასწრება	კი არა	სხვა დამსწრეები :	
დამრღვევის წარმომადგენელი		კი არა	ალნიშნეთ ვინ
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	1. მატჩის მსაჯის სულხან ჩიხლაძის საითინგი 11/12/2021 2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა. 3. მატჩის ოქმი.		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის სულხან ჩიხლაძის საითინგი 11/12/2021
2. მატჩის ოქმი
3. კიდის მსაჯის ლაშა ზივზივამის სატელეფონო საუბრის აუდიო ჩანაწერი
4. ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელის კახაბერ მაჩიტაძის სატელეფონო საუბარის აუდიო ჩანაწერი.
5. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

სატელეფონო საუბრისას, ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელი, კახაბერ მაჩიტაძე, დაეთანხმა მატჩის მსაჯის ს. ჩიხლაძის საითინგში აღწერილ დისციპლინარული დარღვევის ფაქტს, აღიარა მისი მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის ქცევის კოდექსის დარღვევა, კერძოდ მატჩის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებებზე აპელირება და მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა. კახაბერ მაჩიტაძემ თავისი საქციელი ახსნა თამაშის დამაბული მიმდინარეობით, თუმცა აღიარა, რომ ეს არ ამართლებს მის მიერ ჩადენილ საქციელს, მან წუხილი გამოთქვა და ბოდიში მოიხადა მომხდარის შესახებ. მისი თქმით, თამაშის დასრულების შემდეგ მან ბოდიში მოუხადა მსაჯებს.



ფაქტობრივი მოცემულობა

1. 2021 წლის 11 დეკემბერს, ქ. ფოთში, „პარკი არენა“-ზე, გაიმართა I ლიგის XI ტურის მატჩი ოზურგეთის „არწივები“-სა და თბ „არმია“-ს შორის. მატჩი მიდინარეობდა დაძაბულად, გარდამავალი უპირატესობით და დასრულდა ფრედ, ანგარიშით 20:20.
2. 2021 წლის 11 დეკემბერს, აღნიშნული მატჩის მსაჯმა, სულხან ჩიხლაძემ, წერილობით (საითინგი 11/12/2021) მიმართა სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს. საითინგში აღნიშნულია დისციპლინარული დარღვევის ფაქტი ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელის, კახაბერ მაჩიტაძის მხრიდან. კერძოდ, თამაშის 55-ე წუთზე კახაბერ მაჩიტაძემ გააპროტესტა მისი აზრით თამაშის წესის დარღვევის ფაქტის უგუველყოფა მსაჯების მიერ, მივიდა კიდის მსაჯთან და დაუწყო კამათი. სულხან ჩიხლაძე (მატჩის მსაჯი) საითინგში აღნიშნავს (ციტირება) : „მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულ ვითარებაში, გარდამავალი უპირატესობით. მეორე ტაიმის (თამაშის) 55 წუთზე ოზურგეთის არწივების მწვრთნელი კახა მაჩიტაძე მივიდა თანამსაჯთან და აპელირებდა ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, როდესაც შევამჩნიე ეს, მე მთავარი მსაჯი სულხან ჩიხლაძე, მივედი მასთან და მოვუწოდე სიმშვიდისკენ და დაბრუნებულიყო ტექნიკურ ზონაში, ჩემს მიერ გაცემული მითითების შემდეგ სიტუაცია არ დამშვიდდა და სათადარიგოს მოთამაშეებმა გაიყვანეს კახა მაჩიტაძე, გაყვანის პროცესში კი კახა მაჩიტაძის მხრიდან იყო სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ დედის შეგინება მსაჯების მიმართ.“
3. მატჩის კიდის მსაჯმა, ლაშა ზივზივაძემ, სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ თამაშის 55-ე წუთზე, ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელმა, კახაბერ მაჩიტაძემ, გააპროტესტა მსაჯების გადაწყვეტილება, მივიდა მასთან და დაუწყო კამათი თამაშის წესის დარღვევის უგუველყოფის გამო მსაჯების მხრიდან. მატჩის მთავარმა მსაჯმა ს. ჩიხლაძემ შეაჩერა თამაში და მოუწოდა ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელს სიმშვიდისკენ და მოსთხოვა დაბრუნებულიყო ტექნიკურ ზონაში. კახაბერ მაჩიტაძემ არ გაითვალისწინა მსაჯის მოსთხოვნა და განაგრძო კამათი, საბოლოოდ კახაბერ მაჩიტაძე ოზურგეთის „არწივები“-ს სათადარიგო მოთამაშეებმა გაიყვანეს, რა დროსაც მან სიტყვიერი შეურაცხყოფა(დედის გინება) მიაყენა მატჩის მსაჯებს. მატჩის კიდის მსაჯმა, ლაშა ზივზივაძემ, არგეთვე აღნიშნა, რომ თამაშის დასრულების შემდეგ, ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელმა, კახაბერ მაჩიტაძემ, წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ და ბოდიში მოუხადა მატჩის მსაჯებს.
4. მატჩის მსაჯმა სულხან ჩიხლაძემ (სრკ-ს სადისციპლინო სამსახურის წევრებთან ზეპირი საუბრისას) და კიდის მსაჯმა ლაშა ზივზივაძემ (სატელეფონო საუბრისას) აღნიშნეს ფაქტი, რომ თამაშის დასრულების შემდეგ, ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელმა, კახაბერ მაჩიტაძემ, წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ და ბოდიში მოუხადა მსაჯებს.



სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული დისციპლინარული დარღვევის განხილვისას:

1. მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა(შეურაცხყოფაში გამოყენებული ლექსიკა „დედის შეგინება“), შეაფასა როგორც **სერიოზული**.
2. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს დიდი ალბათობა, ოზურგეთის „არწივებმა“ მათი საცხრილო მდგომარეობის მიხედვით მოიპოვონ პლეიოფებში და დიდი 10-ში ამოსასვლელი თამაშების უფლება, გუნდის მწვრთნელის მიმდინარე სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიიჩნია დარღვევის შესაბამისი სიმძიმის სანქციად.

სადისციპლინო კომისიამ გაითვალისწინა:

1. დამრღვევის, კახაბერ მაჩიტაძის სუფთა სადისციპლინო ისტორია.
2. მისი საქციელი თამაშის დასრულების შემდეგ, კერძოდ ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელმა, კახაბერ მაჩიტაძემ, წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ და ბოდიში მოუხადა მსაჯებს.
3. სადისციპლინო საქმის განხილვის პერიოდში სადისციპლინო კომისიის წევრებთან სატელეფონო საუბრისას მან აღიარა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის ქცევის კოდექსის დარღვევა, გამოთქვა წუხილი და ბოდიში მოიხადა მომხდარი ფაქტის გამო.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.12, 5.19 პუნქტებით, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-ს მიხედვით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელი კახაბერ მაჩიტაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2021-2022 წლის სათამაშო სეზონის დასრულებამდე.
2. ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელს, კახაბერ მაჩიტაძეს, დისკვალიფიკაციის პერიოდში, აეკრძალოს ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში, სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში ნებისმიერ დონეზე.
3. კლუბი ოზურგეთის „არწივები“ დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით და ჯარიმის გადახდის ვადა განესაზღვროს 2022 წლის 15 იანვრამდე.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	15/12/2021
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.